

ინგლისურენოვანი ფილმების ქართულად დუბლირების
თავისებურებები

(ფილმების „სიამაყე და ცრურწმენა“, „ჯეინ ეარი“ და „დიდი გეტსბი“
მიხედვით)

თინათინ გიგაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია,
რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

შინაარსი

შინაარსი.....	3
ქართულენოვანი აბსტრაქტი.....	5
ინგლისურენოვანი აბსტრაქტი.....	7
შესავალი.....	9

თავი I

1.1 თარგმანის წარმოშობის და განვითარების ეტაპები.....	12
1.2 მე - 20 საუკუნის თარგმანის თეორიები.....	13
1.3 თარგმანის ტიპები.....	16
1.4 ლიტერატურული ტექსტის ადაპტაცია აუდიოვიზუალურ პროდუქტად.....	18

თავი II

2.1 აუდიოვიზუალური თარგმანი.....	20
2.2 გლობალიზაცია და ლოკალიზაცია.....	21
2.3 აუდიოვიზუალური თარგმანის სახეები : დუბლირება და სუბტიტრირება „გაშინაურების“ და „გაუცხოების“ სტრატეგიების მიხედვით.....	22
2.3.1 დუბლირება.....	23

2.3.2	
სუბტიტირება.....	24

თავი III

3.1 საანალიზო ფილმების მოკლე მიმოხილვა.....	26
---	----

3.2 „სიამაყე და ცრურწმენა“, „ჯეინ ეარი“, „დიდი გეტსბი“ თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი.....	28
---	----

ცხრილი 1. საანალიზო ფილმებში გამოყენებული სტრატეგიების რაოდენობის და პროცენტულობის მაჩვენებელი ცხრილი.....	44
---	----

დასკვნა.....	45
--------------	----

დანართი	46
---------------	----

(ცხრილი 2. საანალიზო ფილმებში არსებული მაგალითების სრული ჩამონათვალი)

ბიბლიოგრაფია.....	53
-------------------	----

აბსტრაქტი

ინგლისურენოვანი ფილმების ქართულად დუბლირების

თავისებურებები

(ფილმების „სიამაყე და ცრურწმენა“, „ჯეინ ეარი“ და „დიდი გეტსბი“

მიხედვით)

თინათინ გიგაშვილი

ნაშრომში განხილულია აუდიოვიზუალური თარგმანის თავისებურებები, უფრო კონკრეტულად კი ინგლისურენოვანი ფილმების ქართულ ენაზე დუბლირების პრობლემა.

საანალიზო მასალაზე დაყრდნობით კვლევამიზნად ისახავს იმ მთარგმნელობითი სტრატეგიების გამოყოფას, რომლებსაც დუბლირებისას მიმართავენ. იგი ასევე წარმოაჩენს თავისებურებებს, რომლებიც დუბლირებას თარგმანის სხვა ტიპებისგან გამოარჩევს.

ნაშრომში საანალიზო მასალად შერჩეულია შემდეგი ინგლისურენოვანი ფილმები და მათ ქართული თარგმანები: „სიამაყე და ცრურწმენა“, „ჯეინ ეარი“ და „დიდი გეტსბი“. აღსანიშნავია, რომ სამივე ფილმი ლიტერატურული ტექსტის ეკრანიზაციის შედეგად შეიქმნა. შესაბამისად, ეს ფილმები თავად წარმოადგენენ ინტერსემიოტიკური თარგმანის შედეგს.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ერთი მხრივ ინგლისურენოვანი ფილმების ქართულ ენაზე თარგმნაზე მზარდი მოთხოვნილებით, ხოლო მეორე მხრივ, აუდიოვიზუალური თარგმანის და კერძოდ ფილმების დუბლირების შესახებ საქართველოში კვლევების ნაკლებობით.

ნაშრომში განხილულია თარგმანის ისტორიისა და თარგმანის თეორიის განვითარების ძირითადი ეტაპები და წარმოდგენილია ძირითადი მთარგმნელობითი სტრატეგიების ზოგადი მიმოხილვა. ცალკე არის გაანალიზებული აუდიოვიზუალურ თარგმანთან დაკავშირებული საკითხები და ის შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინებაც უხდებათ მთარგმნელებს ფილმების თარგმნისას, კერძოდ კი დუბლირებისას.

ნაშრომში საწყისი და სამიზნე ტექსტები შედარებულია შეპირისპირებით ანალიზის საფუძველზე. გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდი. კვლევა წარმართულია ცნობილი თარგმანმცოდნის ლორენს ვენუტის მიერ შემოთავაზებული „გაუცხოებისა“ და „გაშინაურების“ სტრატეგიების ანალიზზე დაყრდნობით. აღნიშნული მაკროსტრატეგიების ფარგლებში გამოყოფილია კონკრეტული ხერხები (გამოკლება, დამატება, ჩანაცვლება) და წარმოდგენილია შესაბამისი მაგალითები წყარო და სამიზნე ტექსტებიდან. გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებმაც სავარაუდოდ განაპირობა მთარგმნელის არჩევანი.

ნაშრომი მოიცავს სარჩევს, ქართულ და ინგლისურ აბსტრაქტებს, შესავალს, სამ თავს, დასკვნას, გამოყენებული ლიტერატურის სიასა და დანართს.

საკვანძო სიტყვები: აუდიოვიზუალური, თარგმანი, გაშინაურება, გაუცხოება, სტრატეგია

Abstract

Dubbing of English-language Films into Georgian (according to the films: “Pride and Prejudice”, “Jane Eyre” and “The Great Gatsby”)

Tinatin Gigashvili

The present paper addresses audiovisual translation and the challenges associated with it. It provides evidence for the hypothesis that dubbing as audiovisual translation modality is very difficult to deal with due to its complexity and specificity. The aim of the paper is to identify problems faced in the translation and dubbing of English-language movies into Georgian and analyse the strategies used by translators.

The relevance of the paper is defined by the growing demand for the English-language movies translated into Georgian and the lack of scholarly research on audiovisual translation and the translation of movies in particular. Translation of movies, including dubbing and subtitling, requires specific approach due to the constraints it imposes on translators. This explains an increased interest in the study of audiovisual translation among European translation scholars.

The present research is based on the comparative analysis of the original screenplay of the following films: “Pride and Prejudice”, “Jane Eyre”, “The Great Gatsby” and their Georgian translations. It compares the target texts with the source texts and seeks to explain the changes in the translation.

The paper consists of an introduction, three chapters further divided into sub-chapters, the conclusions and references and annex.

The first chapter deals with the origins of translation and early stage of its development and translation theories presented in the twentieth century. It also outlines types of translation making particular emphasis on the adaptation of works of literature into an audiovisual product.

The second chapter focuses on audiovisual translation and its modalities: dubbing and subtitling according to “domestication” and “foreignization” strategies, where dubbing is highlighted.

The third chapter shortly reviews the films which are analysed and examines the Georgian translation of the selected films according to “domestication” and “foreignization” strategies.

The conclusion summarizes the results of the research.

Key words: Audiovisual, translation, domestication, strategy.